

სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება #64

ქ. თბილისი

13 აპრილი 2021 წ.

მხარეები:

ერთის მხრივ, სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი“ (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის, გიორგი ჩიქოვანის სახით

და

მეორეს მხრივ, შპს „კალიგრამი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის ეკატერინე ადეიშვილის სახით,

შემსყიდველი და მიმწოდებელი ცალ-ცალკე მოხსენიებულნი არიან როგორც მხარე, ხოლო ერთობლივად როგორც მხარეები.

მხარეები ვმოქმედებთ რა, სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდის“ მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვის სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 25 მარტის N124 დადგენილების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას გამარტივებული შესყიდვით (შემდგომში „ხელშეკრულება“) და ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისგან CPV 92100000; 92111200 - სარეკლამო, პროპაგანდული და საინფორმაციო ფილმებისა და ვიდეოფილმების გადაღებასთან დაკავშირებული მომსახურებების შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. მომსახურების ტექნიკური დავალება მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი #1-ში, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. წინამდებარე ხელშეკრულების 1.1 მუხლით გათვალისწინებული თითოეული მომსახურების ღირებულება მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი #2-ში, რომელიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

4. მიწოდებული მომსახურების სანაცვლოდ შემსყიდველი უხდის მიმწოდებელს მომსახურების ღირებულებას, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

1. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულება;

2. შემსყიდველი უფლებამოსილია სრულად არ შეისყიდოს დანართი #1-ით გათვალისწინებული მომსახურება.
3. შემსყიდველი ვალდებულია, უზრუნველყოს შესაბამისი ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და ოდენობით;
4. მიმწოდებელი ვალდებულია მოთხოვნის შემთხვევაში, 5 სამუშაო დღის ვადაში მიაწოდოს შემსყიდველს ინფორმაცია სამუშაოს მიმდინარეობის შესახებ;
5. მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურების ეტაპობრივი მიწოდება განახორციელოს, წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლით და დანართი #1-ით გათვალისწინებული ვადების დაცვით. მომსახურება წარმოდგენილ უნდა იქნას ელექტრონული ვერსიის სახით.
6. მიწოდებული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით შეთანხმებულ ხარისხს და ტექნიკურ მაჩვენებლებს და მომსახურებისთვის დადგენილ სტანდარტებს.

3. მომსახურების შესრულების ვადა

1. წინამდებარე ხელშეკრულებით და დანართი #1-ით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის გრაფიკი გათვალისწინებულია დანართი #1-ით, რომელთა მიღება შემსყიდველის მიერ ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიმწოდებლის მიერ მომსახურების ეტაპობრივი გაწევის შემდეგ, შემსყიდველი, წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს მათ შესაბამისობას წინამდებარე ხელშეკრულებით და დანართი #1-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. იმ შემთხვევაში თუ გაწეული მომსახურების შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ის შეესაბამება აღნიშნულ მოთხოვნებს, მხარეთა შორის ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.
2. მომსახურების გაწევის ვადა გადაიწევის იმ ვადით, რა ვადითაც შემსყიდველი დააგვიანებს მიმწოდებლისთვის მომსახურების გაწევისთვის საჭირო ინფორმაცია/დოკუმენტაციის მიწოდებას.

4. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 199,000 (ას ოთხმოცდაცხრამეტი ათასი) ლარს, კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.
2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება წარმოებს ლარში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და ინვოისის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. გარანტია, პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებულ მომსახურებას არ გააჩნია რაიმე სახის ხარვეზი.

2. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარეები განსხვავებულ წესს დაადგენენ, მიმწოდებლის პასუხისმგებლობა შემსყიდველის მიმართ შემოიფარგლება წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევის ფარგლებში (იმ მომსახურებაზე, რომელიც საფუძვლად უდევს წარმოქმნილ პასუხისმგებლობას) შემსყიდველის მიერ მიმწოდებელზე ზიანის გამომწვევი ქმედების განხორციელების საანგარიშო წელში ფაქტობრივად გადახდილი თანხის 100% ოდენობით.

3. მიმწოდებელი თავისი ხარჯითა და პასუხისმგებლობით უზრუნველყოფს მის აღმოფხვრას შემსყიდველის მიერ ნაკლის გამოვლენის თაობაზე მიმწოდებლისათვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა და შეცვლის ახლით.

4. მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და/ან დარღვევა გამოიწვევს მათ პასუხისმგებლობას წინამდებარე ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად ნაკლიანი მომსახურების მიწოდების შედეგად შემსყიდველისთვის, ან მესამე მხარისათვის მიყენებული ნებისმიერი ზიანის ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს მხარეს შეუძლია მოითხოვოს მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება მომსახურების მოწოდების დაყოვნების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია გადაუხადოს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,01%-ის ოდენობით. შემსყიდველი უფლებამოსილია ანგარიშსწორებისას მიმწოდებელს გამოუქვითოს პირგასამტეხლოს სახით მასზე დარიცხული თანხა.

5. შემსყიდველის მიერ ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს უფლება აქვს დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ სამუშაო დღეზე გადაუხდელი თანხის 0,01%-ის ოდენობით.

6. მიმწოდებლის მიერ პირგასამტეხლოს გადახდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, არ ათავისუფლებს მას წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების მოვალეობისაგან.

7. წინამდებარე ხელშეკრულების 1.1 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების სრულად არ შესყიდვის შემთხვევაში შემსყიდველს პასუხისმგებლობა არ ეკისრება.

6. პასუხისმგებლობისგან განთავისუფლება

1. მხარეები არ აგებენ პასუხს ვალდებულებათა სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით (მიწისძვრა, წყალდიდობა, სახელმწიფო გადატრიალება და სხვა გარემოებები, რომლებიც არ არიან დამოკიდებული მხარეებზე და ითვლებიან ფორს მაჟორულ გარემოებებად).

2. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

3. წერილობით შეტყობინებაში მითითებული ფაქტები დადასტურებული უნდა იქნას კომპეტენტური ორგანოს მიერ. დადასტურება არ არის საჭირო, თუ აღნიშნული ფაქტები ცნობილია საზოგადოდ
4. მხარეები ანახლებენ თავიანთი ვალდებულებების განხორციელებას ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრისთანავე.

7. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

1. ხელშეკრულების მონაწილე არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
2. დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილებების შეტანა, რომლის შედეგად შემსყიდველისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.
4. ხელშეკრულებაში შეტანილი ყველა ცვლილება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.
2. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს: მხარეთა შეთანხმებით, რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით დარღვევისას ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
3. შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება ვადამდე ნებისმიერ დროს, მიმწოდებლისთვის წინასწარ სულ მცირე ორი კვირით ადრე მიწოდებული წერილობითი გაფრთხილების საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტობრივად შესრულებული მომსახურების ღირებულება სრულად.
4. ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეები მოახდენენ ვადამოსული ვალდებულებების შესრულებას.

9. დავათა გადაწყვეტა

1. მხარეები იღებენ ყველა ზომას, რათა წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა ან წინააღმდეგობა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით.
2. საკითხის მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ნებისმიერი დავა, მათ შორის: თვით ამ ხელშეკრულების არსებობის, ნამდვილობის, შეწყვეტის, ან ბათილობის საკითხი განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

2. ხელშეკრულების ცალკეული მუხლის ან/და პუნქტის ბათილობა ან ძალადაკარგულად ცნობა არ ახდენს გავლენას მთლიანად ხელშეკრულების ან მისი დანართების ნამდვილობაზე.
3. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება მხარეთა შორის წარმოებს წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.
4. ხელშეკრულების არცერთ მხარეს არ აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.

11. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
<p>სს „საქართველოს ენერჯეტიკის განვითარების ფონდი“ მისამართი: ბარათაშვილის ქ. #8. თბილისი საიდ.კოდი: 404391975 სს თი ბი სი ბანკი ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა: GE02TB7377536080100001</p> <p style="text-align: center;">დირექტორი გიორგი ჩიქოვანი</p> <hr style="width: 20%; margin: 0 auto;"/>	<p>შპს „კალიგრამი“ მისამართი: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, შალვა ნუცუბიძის ფერდობი, III მიკრო/რაიონი, კვარტალი I, კორპუსი 1, ბინა 26 საიდ. კოდი: 405413734 სს თიბისი ბანკი ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა GE46TB7747136020100003</p> <p style="text-align: center;">დირექტორი ეკატერინე ადეიშვილი</p> <hr style="width: 20%; margin: 0 auto;"/>

ტექნიკური დავალება

განახლებადი ენერჯების საჭიროებებისა და გამოწვევების შესახებ პოზიტიური კამპანიის წარმოება
სოციალური ქსელისთვის

1. საინფორმაციო საგანმანათლებლო კამპანიის სტრატეგიისა და ვიზუალი სტილის შექმნა
2. მოკლე ექსპერტული ინტერვიუები
3. გრაფიკული რგოლები საერთაშორისო მაგალითებით
4. ჰესების წარმატებული მშენებლობის მაგალითები
5. სახალისო საინფორმაციო ვიდეოები

1. მომსახურება გულისხმობს:

1. კამპანიის სახელის და სასაუბრო ენის შექმნა
2. კამპანიის სტრატეგია და თაიმლაინი
3. მთავარი მესიჯების შემუშავება
4. სრული ვიზუალური სტილი
 - a) სოციალური ქსელის შეფუთვა: *Cover, Profile Picture, FB პოსტების სტილი.*
 - b) ვიდეოების გრაფიკული შეფუთვის სტილის შემუშავება და ვიდეოს მოუშენ გრაფიკის დამზადება: *გრაფიკული შესავალი, ბოლო პეკმოტი, რეგალიეს ფლაშკა, ვაიპი, ტიტრის ფლაშკა, მთავარი მესიჯების გამოსატანი ფლაშკა.*
5. 10 ექსპერტული ვიდეოს (მე-2 მომსახურებაში მითითებულია) შეფუთვა არსებული სტილით, გატიტვრა

2. მომსახურება გულისხმობს:

დამკვეთის მიერ მიწოდებული სპიკერების მოკლე ინტერვიუების ჩაწერას, ისეთ საკითხებზე როგორც არის: სეისმოლოგია, გეოლოგია, ენერგოდამოუკიდებლობა, ჰესების უსაფრთხოება და სხვა... ინტერვიუები შესაძლოა შეიცავდეს მარტივ გრაფიკულ ჩანართებს.

ვიდეო ინტერვიუების რაოდენობა არანაკლებ 10 არაუმეტეს 50.

გადაღება უნდა მოიცავდეს სტატიკურ კადრებს, დამუშავებულ მდგომარეობაში რესპოდენტების სიის მიწოდებიდან უნდა ჩაბარდეს არაუმეტეს 3 სამუშაო დღეში.

3. მომსახურება გულისხმობს:

დავალება - კომბინირებული ვიდეო გაფორმებული ინფორგაფიკითა და 2D გრაფიკული ელემენტებით)

ქრონომეტრაჟი - დაახლოებით 1 წთ.

ტექნიკური და შინაარსობრივი დეტალები

კამპანია ვიდეო რგოლის დამზადებას არსებული მასალების მიხედვით უზრუნველყოფს, რომელსაც შემსრულებელი დაამონტაჟებს და გამოიყენებს საბოლოო პროდუქტის დასამზადებლად. კლიპში ნაჩვენები იქნება მსოფლიო მაგალითები, რენდერები და სიმულაციები, ჰესების მუშაობის სპეციფიკაზე და უსაფრთხოებაზე.

ვიდეოს მიზანია, მოსახლეობის ინფორმირება და საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლება ჰესების უსაფრთხოებასა და სიკეთეზე, ასევე ენერგეტიკის მნიშვნელობაზე როგორც ეკონომიკის განვითარების ისე ქვეყნის დამოუკიდებლობის შესახებ.

ვიდეო რგოლს უნდა ქონდეს გრაფიკული შესავალი და დასასრული, რომელიც ამბის შესახებ მოკლე ინფორმაციას მიაწვდის საზოგადოებას.

სცენარი

დამკვეთის მხრიდან მოწოდებულ მასალაზე დაყრდნობით, შემსრულებელმა კომპანიამ უნდა მოამზადოს სცენარი, შეიმუშავოს ტექსტი და მთავარი მესიჯები, რომელიც გამოყენებული იქნება ინფოგრაფიკაში. ტექსტი უნდა დამტკიცდეს და დადასტურდეს დამკვეთის მიერ.

ვიდეო რგოლის ვიზუალური მხარე

ვიდეო რგოლი უნდა იყოს წარმოდგენილი ერთ საერთო ვიზუალურ ჭრილში, ფერები, გამოსახულებები, 2D ობიექტების სტილი უნდა შეთანხმდეს დამკვეთთან. ციფრები და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია უნდა იყოს აღქმადი. საჭიროების შემთხვევაში, დამუშავდეს და გასუფთავდეს მოწოდებული მასალა.

ხმა და მუსიკა

უნდა ჩაიწეროს და დამუშავდეს ხმა პროფესიონალი მსახიობისა და ხმის რეჟისორის მიერ. ვიდეოს შექმნისას გამოყენებული უნდა იქნას ან ოფიციალურად შეძენილი ფონური თემა ან მუსიკა ე.წ. No Copyright list-დან.

ვიდეოს ჩაბარების ვადები

დამკვეთის მიერ არსებული მასალების მიწოდებიდან, არაუგვიანეს 10 დღეში საბოლოო სცენარის დამტკიცებიდან.

ვიდეოების მოწოდების ძირითადი ფორმატი - Full HD 1920 X 1080; სხვადასხვა განთავსების არხებისთვის შესაძლოა, საჭირო გახდეს ვიდეოს სხვა ფორმატზე დარენდერება.
რაოდენობა - არანაკლებ 5, არაუმეტეს 15;

4. მომსახურება გულისხმობს:

აუციელებელია ვიდეო-ოპერატორისა და ჟურნალისტის მომსახურება წარმატების ისტორიების გაშუქების პროცესში;

მასალის მომზადებამდე შემსყიდველთან შეთანხმებული უნდა იყოს მესიჯბოქსი;

გადაღება უნდა მოხდეს მაღალი ხარისხის ფოტო ან ვიდეოკამერით.

ვიდეომასალა უნდა იყოს Full HD ფორმატში;

წარმატების ისტორიების გადაღების შემთხვევაში, საჭიროების მიხედვით, გამოიყენოს კამერის ავტომატური სტაბილიზატორი (Gimbal Stabilizer DJI Ronin MX Handheld Steadicam Flycam HD-500), ხელის სტაბილიზატორი კამერისთვის (Camera Track Slider Video Stabilizer), სლაიდერი/რელსი, მხრის სტაბილიზატორი კამერისთვის (DSLR Camera Shoulder Support Rig Kit), განათება - (სასურველია შემდეგი პარამეტრებით - LED Video Light Kit GVM Dimmable Bi-color Variable 2300K~6800K);

საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს დრონით ვიდეოგადაღების უზრუნველყოფა;

ისტორიების, ქრონომეტრაჟი უნდა იყოს არანაკლებ 1 წუთი 30 წამი და არაუმეტეს 2 წუთი და 30 წამი. რაოდენობა არანაკლებ 3 და არაუმეტეს 10;

დამონტაჟებული მასალა, უნდა შეესაბამებოდეს სოციალური ვიდეორგოლის სტანდარტებს, საჭიროების შემთხვევაში გაფორმებული უნდა იყოს გრაფიკითა და სუბტიტრებით. რგოლს უნდა ჰქონდეს მუსიკალური გახმოვანება და მუსიკის გამოყენებისთვის სრული საავტორო უფლებები.

ისტორიების ვიდეორგოლების მომზადებისას აუცილებელია ვიდეორგოლების გრაფიკულად გაფორმება, ფერები, შრიფტი და ვიზუალი უნდა შეესაბამებოდეს მოწოდებულ ბრენდბუქს.

ვიდეომასალაში ფონური ხმა და ინტერვიუების ხმა უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს;

პროექტის ბოლოს ყველა მასალის პროექტი, უნდა გადაეცეს ფონდს, რადგან გადაღებული და დამონტაჟებული მასალა იქნება შემსყიდველის საკუთრება;

მიმწოდებელი ვალდებული იქნება მასალა მოამზადოს შემსყიდველთან უშუალო კოორდინაციით;

ისტორიების გადაღების გრაფიკი და სპიკერების შერჩევა უნდა განხორციელდეს შემსყიდველთან უშუალო კოორდინაციით.

მიმწოდებელმა თავად უნდა უზრუნველყოს რეგიონებში გადაღების ადგილზე გამგზავრება, საჭიროების შემთხვევაში ადგილზე განთავსება.

ვიდეორგოლების გრაფიკი და ჩაბარების ვადები განისაზღვრება გადაღების დასრულებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

5. მომსახურება გულისხმობს:

მოქმედი ჰესების შესახებ მოკლე რგოლებს საინფორმაციო შემეცნებითი ისტორიებით.

ვიდეო უნდა დამზადდეს არანაკლებ 10, არაუმეტეს 20.

კომპანიამ მომსახურების პირველი კომპონენტის გარდა, ფასები უნდა წარმოადგინოს თითოეულ ერთეულზე (1 ცალ ვიდეოზე ან გრაფიკულ ნამუშევარზე), რადგან შესასყიდი პროდუქტის ზუსტი რაოდენობა კომპანიის განმავლობაში დაზუსტდება. მომსახურების ყველა პუნქტზე შესაძლო მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობა მითითებულია ამავე ტექნიკურ დავალებაში.

განახლებადი ენერჯიების საჭიროებებისა და გამოწვევების შესახებ პოზიტიური კამპანია

ბიუჯეტი - ტექნიკური დავალების მიხედვით

1. საინფორმაციო საგანმანათლებლო კამპანიის სტრატეგიისა და ვიზუალური სტილის შექმნა / 10 ვიდეოს შეფუთვა - **ჯამში 6585 ლარი**
2. მოკლე ექსპერტული ინტერვიუები - **1150 ლარი (1 ვიდეოს ფასი)**
3. ვიდეო რგოლები საერთაშორისო მაგალითებითა და ინფოგრაფიკული ელემენტებით - **4390 ლარი (1 ვიდეოს ფასი)**
4. ჰესების წარმატებული მშენებლობის მაგალითები - **5900 ლარი (1 ვიდეოს ფასი)**
5. სახალისო საინფორმაციო ვიდეოები - **500 ლარი (1 ვიდეოს ფასი)**

შპს „კალიგრაფი“ დღგ-ს გადამხდელი არ არის.